

ლელა ხაჩიძე  
(საქართველო)

**ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან<sup>1</sup>**  
(გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანი“)

„მარხვანი“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულია, რომელიც დიდმარხვის პერიოდის საგალობლებს შეიცავს. როგორც ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლამ ცხადყო, ის პირველი გამოცემა დამოუკიდებელ კრებულად უნივერსალურ „უძველეს იადგარს“, რომელიც შეიცავდა მთელი წლის მანძილზე შესასრულებელ საგალობლებს („უძველესი იადგარი“ 1980). ის გარემოება, რომ „მარხვანი“ პირველი დამოუკიდებელი კრებულია „უძველესი იადგარის“ დიფერენციაციის ისტორიაში, უნდა აიხსნას დიდმარხვის პერიოდისა და, შესაბამისად, ამ კრებულის განსაკუთრებული მნიშვნელობით.

„მარხვანის“ ჩამოყალიბების პროცესი ასახავს ბიზანტიური სასულიერო პოეზიის განვითარების გზას, რომელიც ძირითადად ორ პერიოდად იყოფა. პირველი მათგანი „იერუსალიმური პერიოდის“ სახელითაა ცნობილი, მეორე კი – „კონსტანტინოპოლურის“. „იერუსალიმური პერიოდის“ მრავალი ნიმუში დღეისათვის მხოლოდ ქართული ხელნაწერებითაა შემონახული (Иерусалимский Канонарь 1912; უძველესი იადგარი 1980).

„მარხვანის“ სახელით ცნობილი კრებული შეიცავს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის საგანძურს – მრავალრიცხოვან საგალობლებს, რომელთა ავტორები ქრისტიანული ეკლესიისა და კულტურის უდიდესი წარმომადგენლები არიან. საგალობელთა დიდი ნაწილი კი ანონიმურადაა მოღწეული, რომელთა ავტორების დადგენა მხოლოდ ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით დღეისათვის შეუძლებელია.

„მარხვანში“ შესული საგალობლები ფორმის, მოცულობისა თუ პოეტური რაობის თვალსაზრისით მრავალფეროვანია. ამ კრებულის პირველი დათარიღებული საგალობელი V საუკუნეს მიეკუთვნება, უკანასკნელი კი – XV საუკუნეს. ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე ბევრი რამ, ბუნებრივია, დავიწყებას მიეცა, ბევრიც დასაზუსტებელი და შესასწავლია.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილი და განხილულია ბერძნული „მარხვანის“ რამდენიმე ტიპი და რედაქცია (Карабинов 1910; Carpuyns 1935;

1 სტატიაში წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება შოთა რუსთველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო პროექტის „ბიზანტიური და ქართული ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა (გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანი“)“ (FR17\_127) განხორციელების შედეგად მიღებულ ძირითად შედეგებს.

Славева 1972; Momina, M. and Trunte 2004), რომლებიც საფუძვლად დაედო სხვაენოვან „მარხვანებს“, მათ შორის ქართულს.

ამ კრებულმა დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. ერთი მხრივ, ხდებოდა მისი შემოკლება, მეორე მხრივ – ახალი რეპერტუარით გავრცობა. ესა თუ ის ავტორი, რომელსაც გარკვეულ ეპოქაში თვალსაჩინო, ნამყვანი ადგილი ეჭირა ბერძნულ „მარხვანებში“, თანდათან, სხვადასხვა მოსაზრების გამო, კარგავდა პირველობას ან საერთოდ უგულებელყოფილი ხდებოდა და ეს აისახებოდა ამ კრებულის ახალ რედაქციებში. ხმარებიდან გასული საგალობლების დიდი ნაწილი ბიზანტიური სასულიერო პოეზიის იერუსალიმურ პერიოდშია შექმნილი. ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თარგმანები, მათ შორის ქართული, პირველ ყოვლისა, ამ უძველესი და ამავე დროს, საუკეთესო ნიმუშების აღდგენის საშუალებას იძლევა.

ქართული ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულების შესწავლამ ცხადყო, რომ „მარხვანისათვის“ განკუთვნილი პირველი საგალობლები გვხვდება ჯერ კიდევ „იერუსალიმურ ლექციონარში“, რომელიც ღვთისმსახურების უძველეს ნესს ასახავს (კეკელიძე 1912). შემდგომში ეს საგალობლები ახალი რეპერტუარით შეივსო „უძველეს იადგარსა“ (უძველესი იადგარი 1980: 789-792) და „ახალ იადგარებში“ (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1978: 9-10).

X საუკუნის პირველ ნახევარში „იადგარიდან“ ცალკე კრებულად გამოიყო პირველი ქართული „მარხვანი“, რომლის შემდგენელი და რედაქტორი უნდა იყოს დიდი ქართველი ჰიმნოგრაფი – იოანე მინჩხი. „მარხვანის“ ეს რედაქცია იერუსალიმური ტიპის იყო. იგი შეიცავდა სამი ცნობილი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფის – თეოდორე სტუდიელის, ელია იერუსალიმელისა და სტეფანე საბანმინდელის სამსაგალობლებსა და ჰიმნოგრაფიულ კანონებს. მათთან ერთად, პირველი ქართული „მარხვანი“ შეიცავდა იოანე მინჩხის 100-ზე მეტ ორიგინალურ საგალობელს (ხაჩიძე 1987: 81-109).

„მარხვანის“ შემდგომი რედაქცია ეკუთვნის ათონის სალიტურატურო და საღვთისმეტყველო სკოლის მამამთავარს – ეფთვიმე მთაწმინდელს. მისი ბიოგრაფის – გიორგი მთაწმინდელის ცნობით, ეფთვიმე ათონელს უთარგმნია „დასდებელნი მარხვათანი სრულიად“. დღეისათვის გამოვლენილი და შესწავლილია მის მიერ თარგმნილი „მარხვანის“ ცალკეული ელემენტები (ხევსურიანი 1979). „მარხვანის“ ეს რედაქცია კი საგანგებოდ შესწავლილი არ არის, რადგან ზუსტად არაა ცნობილი მისი შემცველი ხელნაწერები.

ქართულმა „მარხვანმა“, ისევე როგორც ყველა სხვა საღვთისმსახურო ნიგნმა, განვითარების მწვერვალს მიაღწია ქართული ეკლესიისა და კულტურის უდიდესი წარმომადგენლის – გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობით (1009-1065), რომელმაც განსაზღვრა ქართული სასულიერო მწერლობისა და, ზოგადად, ქართული კულტურის განვითარების შემდგომი გზა. მან **„გარდაქმნა და სრულყო ყოველივე, რასაც შეეხო“**. მის მიერ თარგმნილი

მრავალრიცხოვანი კრებულები, მათ შორის „მარხვანი“, იქცა „ერთგვარ ვულგატად“ (კეკელიძე 1980: 137).

ჩვენამდე მოღწეულია გიორგი ათონელის რედაქციის მრავალრიცხოვანი „მარხვანები“, რომლებიც მიეკუთვნება ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციებს. მათი შესწავლის საფუძველზე გამოიყო ხელნაწერთა ერთი ჯგუფი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ კრებულის კვლევისათვის. ჩვენი მიზანია გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანის“ აკადემიური ტექსტის გამოსაცემად მომზადება XI-XV საუკუნეების ცხრა ქართული ხელნაწერის მიხედვით სათანადო გამოკვლევასთან ერთად.

გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანებს“ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი – Paris. Georg. 5.

ამ ხელნაწერის შესახებ გარკვეული ცნობები გვხვდება ალ. ხახანაშვილის, ფ. მაკლერისა და ე. თაყაიშვილის ნაშრომებში (ხახანაშვილი 1898; Macler 1908: 171; თაყაიშვილი 1933: 32-40). მის საგანგებო კვლევას მიეძღვნა ჩვენი არაერთი გამოკვლევა (ხაჩიძე 1987: 59-74; ხაჩიძე 2000: 38-64). ხელნაწერი პალიმფსესტია. მისი ძველი ფენა წარმოადგენს „იერუსალიმურ ლექციონარს“, რომელიც გაშიფრული აქვს ბ. უტიეს.

როგორც კვლევამ გვიჩვენა, Paris. Georg. 5 ერთ დროს და ერთი პირის მიერ არ არის გადაწერილი. იგი შედარებით გვიან უნდა იყოს აკინძული. მისი ძირითადი ნაწილი – 432 გვერდი (1r–216v) წარმოადგენს გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანს“ და შესრულებულია XI საუკუნის ათონური ხელნაწერით. **ესაა ამ კრებულის ავტოგრაფული მნიშვნელობის მქონე უნიკალური ხელნაწერი, რომელიც გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანის“ პუბლიკაციის საფუძველად მივიჩნიეთ.** გიორგი ათონელის რედაქციის „მარხვანის“ შემდეგ პარიზულ ხელნაწერში წარმოდგენილია „მარხვანის“ ახალი რედაქცია, რომელიც, როგორც ირკვევა, ამავე ხელნაწერში დაცული გიორგი მთაწმინდელის „მარხვანთან“ კომპილაციითაა შედგენილი. „მარხვანის“ ეს რედაქცია შეიცავს ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანებს.

ერთადერთი ადგილი, სადაც იკვეთება სამი დიდი ქართველი მოღვაწის – გიორგი მთაწმინდელის, ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის გზები შავი, ანუ საკვირველი მთაა ანტიოქიაში. სწორედ აქ უნდა იყოს შედგენილი ქართული „მარხვანის“ ორივე რედაქცია და თვით უნიკალური ქართული ხელნაწერი – Paris. Georg. 5.

გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრების“ გათვალისწინებით შესაძლებელი ხდება განისაზღვროს მისი რედაქციის „მარხვანის“ შედგენის დრო. წმინდანის „ცხოვრების“ მიხედვით სამეცნიერო ლიტერატურაში დადგენილია, რომ 1040-1056 წლებში იგი ათონზე იმყოფებოდა, 1059–1065 წლებში საქართველოში მოღვაწეობდა, 1065 წელს კი კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა (კეკელიძე 1980: 217-220; ბრუნი: 113-120). **აქედან გამომდინარე, გიორგი**

**მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანი“ სრული, საბოლოო სახით შედგენილი უნდა იყოს შავ მთაზე, 1056-1059 წლებში.** ამავე პერიოდში შედგენილად ივარაუდება ვრცელი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული – გიორგი ათონელის „პარაკლიტონი“, კერძოდ, მისი ავტოგრაფული ხელნაწერი – Ath.45 (ბრუნე 2011: 116).

პარიზულ ხელნაწერზე მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ მასში დაცული გიორგი ათონელის „მარხვანის“ ერთი ნაწილი არასწორადაა აკინძული. კერძოდ, გვერდები 23r-56v მონაკვეთში არეულია: 23r-24v გაბმული ტექსტია; 24v-ს მოსდევს 33r, ამის შემდეგ 37r-ს ჩათვლით ისევ გაბმული ტექსტია; შემდეგ თანმიმდევრობა ისევ ირევა: 37r, 38v, 38r, 37v, შემდეგ 39r-დან 56v-ის ჩათვლით გაბმული ტექსტია; მას მოსდევს: 25r-32v. გიორგი ათონელის „მარხვანის“ პუბლიკაციაში ტექსტი თავდაპირველი – სწორი თანმიმდევრობით იქნება წარმოდგენილი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია გიორგი მთაწმინდელის თარგმანების „კრებითი“ ხასიათი. მისი თანამედროვე ბიზანტიური კრებულებიდან იგი სიტყვასიტყვით კი არ თარგმნის რომელიმე მათგანს, არამედ მასალას კრებს ყველა წყაროდან. ანდერძ-მინაწერები, რომლებსაც ურთავს მის მიერ ნათარგმნ ძეგლებს, იმ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ გიორგი მთაწმინდელი ცდილობს, მთელი სისრულით გააცნოს ქართველ მკითხველს, მთელი სისრულით ასახოს მისი თანამედროვე და წინააღმდეგობის ბიზანტიური ლიტურგიკული პრაქტიკა. ამის საფუძველს მას აძლევდა საბერძნეთის ეკლესიისა და ბიზანტიური მწერლობის ზედმინევი ცოდნა. ამას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ გიორგი მთაწმინდელს მოღვაწეობა მოუხდა იმდროინდელი ქრისტიანული კულტურის ძირითად ცენტრებში – ათონზე, შავ მთაზე, კონსტანტინოპოლში, იერუსალიმსა და საქართველოში.

სწორედ ამ პრინციპით შეუდგენია მას უმნიშვნელოვანესი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებული – „მარხვანი“. Paris. Georg. 5 ხელნაწერში დაცულია თვით გიორგი მთაწმინდელის ანდერძები, რომელთაგან მოვიტანთ ერთ-ერთს: „...ვინაიდან კულა სახიერებამან ღმრთისამან ღირს მყო მე გლახაკი გიორგი ხუცესმონაზონი მარხვათა და ზატიკთა სრულებით თარგმნად და წიგნი შეჰმზადა, განმანათლებელი კათოლიკე ეკლესიისა, რომელ ჭეშმარიტად სწორი ამისი არცა ბერძენთა თანაღა იპოვების, არცა ქართველთა, მაშა შეუძლებელ იყო ჩუენგან ნაკლულევანებისა რაღსმე დატეობაჲ...“ ანდერძის ეს სიტყვები მონიშნავს, რომ კრებულის შედგენისას იგი ეყრდნობა არა ერთ რომელიმე დედანს (ბერძნულს ან ქართულს), არამედ მასალას კრებს რამდენიმე მათგანიდან იმის სრული შეგნებით, რომ **„შეუძლებელ იყო ჩუენგან ნაკლულევანებისა რაღსმე დატეობაჲ.“**

გიორგი ათონელის „მარხვანში“ დიდმარხვის თითოეული დღის განგება შეიცავს ვრცელ ჰიმნოგრაფიულ მასალას. წესისამებრ, ცისკრის განგება იწყება მცირე ფორმის საგალობლით, რომელსაც მოსდევს „სხუანების“ მთელი წყება. ასევე, აუცილებელი კომპონენტია მცირე ფორმის საგალობე-

ლი – „ნარდგომა“, რომელსაც, ჩვეულებრივ, ახლავს თავისი „სხუანი“. „ნარდგომანის“ სისტემურად შემოღება დამახასიათებელია გიორგი ათონელის სხვა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულებისთვისაც (ჯღამაია 1966: 75-86). „მარხვანის“ გიორგისეულ რედაქციაში ცისკრის განგებაზე ხანდახან გვხვდება მცირე ფორმის საგალობლები – „იბაკონი“, რომელთაც მოსდევს მათივე „შედგენი“. ხელნაწერში გვხვდება რომანოზ მელოდოსის სახელით წარწერილი 9 „იბაკონი“, „იბაკონების“ მეორე ნაწილი კი სახელწაუნერლად, მაგრამ საგანგებო ნიშნითაა აღბეჭდილი (იხ. ამის შესახებ ქვემოთ).

სრული ტექსტებით წარმოდგენილ მცირე ფორმის საგალობლებთან ერთად, Paris. Georg. 5-ში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა „დამატებითი“ მცირე ფორმის საგალობლები მითითებულია „სტიქარონთა შინა“ (3r) ან „სტიქარონთა წიგნსა შინა“ (3v). ამ შემთხვევაში იგულისხმება მცირე ფორმის საგალობლების – სტიქარონების ცალკე კრებული, საიდანაც, სურვილის შემთხვევაში, შეიძლება „დამატებითი“ საგალობლების შესრულება.

**შედარებამ გვაჩვენა, რომ „მარხვანის“ კვლევის შედეგები ზუსტად თანხვდება წმინდანის „ცხოვრებას“.** ასეა ამ შემთხვევაშიც, კერძოდ, გიორგი ათონელმა, „ცხოვრების“ მიხედვით, თარგმნა: „...სტიქარონნი ძლისპირთა ქუეშე, რომელთა შინა სხუად მრავალი კეთილი სწერია და მათვე შინა მარხვათა სტიქარონნი“ (ძეგლები 1967: 147).

„მარხვანის“ სახელით ცნობილი კრებულისათვის (ისევე როგორც „ზატიკისათვის“) სპეციფიკური პოეტური ფორმაა „სამსაგალობლები“ – სამი ოდისაგან შემდგარი საგალობლები. სწორედ აქედან მომდინარეობს ამ კრებულის ბერძნული სახელწოდება – „ტრიოდიონი“ (Кекелиძე 1908: XX-XXI). სამსაგალობლები გვხვდება დიდმარხვის ყველა სადა დღეზე – ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. ესაა ვრცელი რეპერტუარი – დიდმარხვის ორი მოსამზადებელი კვირიაკისა და შვიდი შვიდეულის ვრცელი ჰიმნოგრაფიული მასალა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ დიდმარხვის სამსაგალობლების ციკლი შექმნა სტუდიის მონასტრის წინამძღვარმა, ცნობილმა ჰიმნოგრაფმა – თეოდორე სტუდიელმა (VIII-IX სს.). მასვე ეკუთვნის ბერძნული „მარხვანის“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რედაქცია. თეოდორე სტუდიელის სამსაგალობლების ქართული თარგმანები გვხვდება ე. წ. „ახალ იადგარებში“, პირველ ქართულ „მარხვანსა“ და, ეჭვგარეშეა, ეფთვიმე ათონელის „მარხვანში“. გიორგი ათონელის რედაქციის „მარხვანში“ დაცულია ამ ავტორის დიდმარხვისათვის განკუთვნილი სამსაგალობლების ციკლი. ყველა მათგანის ტექსტი გიორგი ათონელს საგანგებოდ შეუდარებია და შეუსწორებია მისი თანამედროვე ბერძნული „მარხვანების“ მიხედვით.

გიორგი ათონელის „მარხვანში“ დიდმარხვის თითოეულ დღეზე ასევე სისტემატურად გვხვდება მეორე ავტორის – იოსებ მგალობლის (სიცილიელის, IX ს.) სამსაგალობლები. ესაა ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელი (Tomadakes 1971). ამ ავტორის „მარხვანისათვის“

განკუთვნილი ვრცელი ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი – სამსაგალობლები პირველად ქართულ ენაზე გიორგი მთანმინდელს უთარგმნია. იოსებ სიცილიელის სამსაგალობლების შემოტანა დიდმარხვის ლიტურგიაზე კონსტანტინოპოლურ ტრადიციაში მოხდა და ამ შემთხვევაში გიორგი ათონელის მიერ ეს ტრადიცია ასახული.

ყველიერის შვიდეულში აღნიშნულ ავტორთა სამსაგალობლებს ემატება III ფენა – ანტონ სტუდიელის (IX ს.) სამსაგალობლები, რომელთა ორიგინალები დღეისათვის არ ჩანს. გიორგი ათონელის „მარხვანი“ ამ საინტერესო ჰიმნოგრაფის ჩვენამდე ფრაგმენტულად მოღწეული შემოქმედების დაზუსტებისა და აღდგენის საშუალებას წარმოადგენს.

დიდმარხვის შაბათ და კვირა დღეებზე, აგრეთვე, დიდმარხვის განსაკუთრებულ დღესასწაულებზე გიორგი ათონელის „მარხვანში“ წარმოდგენილია ვრცელი ფორმის საგალობლები – ჰიმნოგრაფიული კანონები, რომელთა დასაწყისების გასწვრივ, როგორც წესი, მითითებულია მათი ავტორები – ჰიმნოგრაფიის უდიდესი წარმომადგენლები. **ესაა ქრისტიანული ეკლესიისა და სასულიერო პოეზიის საგანძური, საგანგებოდ შესწავლილი და დადგენილი შუასაუკუნეების ერთ-ერთი საკვანძო პიროვნების – გიორგი ათონელის მიერ.**

მსგავსი სისრულის კრებული ბერძნული „მარხვანის“ არსებულ პუბლიკაციებსა და სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილ ბერძნულ ხელნაწერებში არ გვხვდება (ბერძნული მარხვანი 1879; ბერძნული მარხვანი 1975; Карабинов 1910; Cappuyns 1935). მსგავსი სისრულის კრებული არ გვხვდება არც სლავურ „მარხვანებში“, რომლებიც კონსტანტინოპოლური პერიოდის ბერძნული „მარხვანების“ ზუსტ ანალოგებს წარმოადგენს და კარგადაა შესწავლილი (სლავური მარხვანი 1975; Карабинов 1910; Славева 1972; Momina, M. and Trunte, N. 2004).

ამრიგად, სრულ სიმართლეს შეესაბამება გიორგი ათონელის ზემოთმოყვანილი სიტყვები: „ჭეშმარიტად სწორი ამისი არცა ბერძენთა თანაღა იპოვების, არცა ქართველთა...“

ამგვარ სისრულემდე გიორგი ათონელი მიზანდასახული დიდი შრომის შედეგად უნდა იყოს მისული. „მარხვანზე“ მას, როგორც ჩანს, ეტაპობრივად უმუშავია (იხ. ამის შესახებ ქვემოთ).

კვლევამ ნათელყო, რომ მის თანამედროვე ბერძნულ „მარხვანებთან“ ერთად, გიორგი ათონელის „მარხვანის“ წყაროა წინააღმდეგობრივი ქართული ხელნაწერებიც, კერძოდ, „მარხვანის“ ის რედაქცია, რომელიც დაცულია Sin.5 (1052 წ.) და Sin.75 (XI ს.) ხელნაწერებში. „მარხვანის“ ეს რედაქცია, იერუსალიმურთან ერთად, შეიცავს კონსტანტინოპოლურ ელემენტებსაც, მათ შორის „დიდი პარასკევის განგებას“, რომელიც ეფთვიმე ათონელს უთარგმნია (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1979: 26).

Paris. Georg. 5 ხელნაწერში, რომელიც გიორგი მთანმინდელის „მარხვანის“ მეცნიერული პუბლიკაციის საფუძვლად მივიჩნიეთ, დასტურდება მისი

მუშაობისათვის დამახასიათებელი კიდეც ერთი თავისებურება. ეს არის დიდი სიზუსტე საგალობლებისათვის ავტორების მითითებასა და მათი ტექსტების დადგენაში. უზარმაზარ ჰიმნოგრაფიულ რეპერტუარში, ხელნაწერთა დიდძალი რაოდენობისა და განსხვავებული ჩვენებების პირობებში დროთა განმავლობაში დაკარგული ან დაზიანებული ავტორების გამოსავლენად განუვლი დიდი შრომა გიორგი მთაწმინდელის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა, რომელიც დღეს დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას იძენს.

დღეისათვის ცნობილ ბერძნულ-სლავურ „მარხვანებსა“ და სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ კრებულებთან შედარებით, აქ ავტორი აქვს მითითებული კანონების, სამსაგალობლებისა და სტიქარონების დიდ ნაწილს. იმ შემთხვევებში კი, როცა ცალკეულ საგალობელთა ავტორები აღნიშნულია წინადროინდელ ქართულ ხელნაწერებშიც, გიორგი ათონელის „მარხვანი“, ჩვეულებრივ, თანხვედბა მათ ჩვენებას. კვლევამ ცხადყო, რომ გიორგი მთაწმინდელი ხშირად უთითებს კომპილაციური საგალობლების ცალკეული ნაწილების ავტორებსაც კი. მის მიერ ამ მხრივ ჩატარებული სამუშაო დღეს დიდ მნიშვნელობას იძენს ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის კვლევისათვის, რადგან ბერძნული და სლავური „მარხვანების“ არსებულ გამოცემებში, ჩვეულებრივ, დაკარგულია მათი კომპილაციურობის გაგება. თავის დროზე რამდენიმე ავტორის კომპილაციით შედგენილი საგალობლები ახლა ძირითადად რომელიმე ავტორს მიენერება, ავტორწაუნერელია ან საერთოდ, დაკარგულია.

საგალობელთა ავტორების სახელები პარიზულ ხელნაწერში მითითებულია რამდენიმე წესით: სრული სახით (მაგ., ანდრეა ან ანდრეა კრიტელი), შემოკლებულად (მაგ., ი<sup>ე</sup> (იოანე) ან<sup>ტი</sup> (ანტონი) ან მონოგრამებით – (მაგ., <sup>1</sup>ყ<sup>ა</sup>ს<sup>ს</sup>). ყველაზე ხშირია ავტორების შემოკლებულად – დაქარაგმებულად მითითება.

წარმოვადგენთ Paris. Georg. 5-ში მითითებული ავტორების ნუსხას და ყველა იმ ფორმას, რა სახითაც მითითებულია ეს ავტორები:

თეოდორე სტუდიელი – თ<sup>ე</sup> სტ; თ<sup>ე</sup>

იოსებ მგალობელი – <sup>1</sup>ი<sup>ს</sup> <sup>1</sup>ბ<sup>ე</sup> <sup>1</sup>ი<sup>ოს</sup>ბ<sup>ე</sup> ის<sup>ბ</sup>; ი<sup>ოს</sup>; იო<sup>ს</sup>ბ

სტეფანე საბანმიდელი – სტ

ელია იერუსალიმელი – ელია; ელ

თეოფანე აღმსარებელი – თეოფ<sup>ანე</sup>; თ<sup>ფ</sup>, თ<sup>ფ</sup>ნე

ანდრია კრიტელი – ან; ანდ; ანდრეა; ანდრია; ანდრეა კრიტელი, რომელ

იყო იერუსალემით.

იოანე დამასკელი – ი<sup>ე</sup>

კოზმა მაიუმელი – კ<sup>ო</sup>; კ<sup>ზ</sup>მ<sup>ნ</sup>, კ<sup>ზ</sup>, კ<sup>ო</sup>ზ

ქრისტეფორე – ქ<sup>ე</sup>ფორე

ანტონ – ანტი

რომანოზ ტკბილმგალობელი – რომ; რომანოზ; რო

გიორგი – გი; გე

მარკოზ – მარკზ

ბ[ასილი] – ბ

მინჩხი – მ, მინჩხი, მინჩ

ქართული ჰიმნოგრაფიის კვლევისათვის Paris. Georg. 5 ხელნაწერი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან სწორედ მასში აღმოჩნდა X საუკუნის დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის – იოანე მინჩხის უცნობი მემკვიდრეობა – 77 საგალობელი, რომლებმაც ახლებურად განსაზღვრა ამ ავტორის მნიშვნელობა ქართული პოეზიის ისტორიაში, აგრეთვე ორიგინალური ქართული ჰიმნოგრაფიის დონე და შესაძლებლობები (ხაჩიძე 1987).

Paris. Georg. 5 ხელნაწერი ყურადღებას იმსახურებს იმ მხრივაც, რომ მასში დაცულია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შედეგის – ანდრია კრიტიელის „დიდნი გალობანის“ სამი ძველი ქართული თარგმანი. ესაა ვრცელი საგალობელი, რომელიც რამდენიმე ნაწილად სრულდება დიდმარხვის პერიოდში.

პარიზული ხელნაწერის 127v-138v-ზე წარმოდგენილია „დიდნი გალობანის“ I ქართული თარგმანი, რომელიც ეფთვიმე ათონელს ეკუთვნის. ესაა უაღრესად ლირიული თარგმანი, შესრულებული ეფთვიმე ათონელისათვის დამახასიათებელი შემოქმედებითი პრინციპებით. მას მოსდევს „დიდნი გალობანის“ II ქართული თარგმანი, შესრულებული თავად გიორგი ათონელის მიერ (138v-154v). ამ თარგმანის ბოლოს 154v-ზე შედარებით წვრილი ასოებით დაცულია გიორგი მთაწმინდელის ანდერძი, რომელშიც იგი განმარტავს მის მიერ შექმნილი თარგმანის მიზანს. ეს ანდერძი ყურადღებას იმსახურებს როგორც ორიგინალის ტექსტის, ისე ეფთვიმე და გიორგი ათონელების მთარგმნელობითი პრინციპების შესწავლისათვის.

ამრიგად, ამ შემთხვევაში გიორგი ათონელმა საჭიროდ მიიჩნია საკუთარ თარგმანთან ერთად, ეფთვიმე ათონელის თარგმანის წარმოდგენაც სათანადო განმარტებებით.

გიორგი მთაწმინდელის „მარხვანის“ გამოცემაში გამოქვეყნდება ანდრია კრიტიელის „დიდნი გალობანის“ ეფთვიმე და გიორგი ათონელების მიერ შესრულებული თარგმანების კრიტიკულად დადგენილი ტექსტი XI-XV საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით.

პარიზული ხელნაწერის მეორე ნაწილში, რომელიც „მარხვანის“ ახალ რედაქციას შეიცავს და შედგენილია შავ მთაზე, შესულია „დიდნი გალობანის“ III თარგმანი, რომელიც არსენ იყალთოელს ეკუთვნის. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ამ თარგმანის შექმნის ისტორია (მეტრეველი 1971: 054). Paris. Georg. 5 ერთადერთი ქართული ხელნაწერია, რომელიც



ამ საგალობლის სამივე ქართულ თარგმანს შეიცავს და მათი შედარებითი კვლევის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს.<sup>1</sup>

მსგავსი შემთხვევა გამოვლინდა პარიზულ ხელნაწერში იოანე დამასკელის არანაკლებ ცნობილი საგალობლის – „აღდგომის კანონის“ შემთხვევაშიც. ხელნაწერის 215r-216r-ზე წარმოდგენილია ამ საგალობლის წინადროინდელი თარგმანი, რასაც მოსდევს გიორგი ათონელის ანდერძი: „იგივე გალობანი ჩუენისა უნდოსაჲ გულისკმისყოფისაებრ ორნივე წინაშე დაუსხმანილა, რომელნიცა ჯერ-გიჩნდენ, გალობდით“. ამის შემდეგ წარმოდგენილია საგალობლის გიორგი მთანმინდელის მიერ შესრულებული თარგმანი (ხაჩიძე 2012: 61-98).

ამრიგად, Paris. Georg. 5-ის მოწმობით, იმ შემთხვევებში, როცა წინადროინდელი თარგმანები განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით გამოირჩევა, გიორგი ათონელი უცვლელად წარმოადგენს მათ საკუთარ თარგმანებთან ერთად, რასაც საგანგებო ანდერძებით გვამცნობს.

გიორგი ათონელის რედაქციის „მარხვანის“ შედგენის დროისათვის ბერძნული ეკლესია უკვე კონსტანტინოპოლურ ტრადიციას მისდევდა, რომელსაც გიორგი ათონელი ზედმიწევნით იცნობდა. მიუხედავად ამისა, „მარხვანში“, ისევე როგორც მის მიერ შედგენილ სხვა ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიულ კრებულებში, მას შეტანილი აქვს წინადროინდელი – იერუსალიმური პერიოდის მრავალრიცხოვანი საგალობლები, რომლებიც უკვე აღარ გვხვდება XI საუკუნის ბერძნულ „მარხვანებში“. სწორედ ამ მრავალრიცხოვანი საგალობლების ქართული თარგმანები წარმოადგენს დღეს მათი აღდგენის ერთადერთ საშუალებას. საგულისხმოა ისიც, რომ გიორგი მთანმინდელი ძველი წესით აღნიშნავს ვრცელი ფორმის საგალობლების – ჰიმნოგრაფიული კანონების გალობათა სახელწოდებებსაც („უგალობდითსა, მოიხილესა, განძლიერდასა, მესმასა, ღამითგანსა, ღაღატყავსა, კურთხეულარსა, აკურთხევდითსა, ადიდებდითსა“) და არა მისი თანამედროვე ბერძნული წესის მიხედვით – რიცხობრივი დანომვრით.

ავტორების აღნიშვნასთან ერთად, პარიზულ ხელნაწერში გვხვდება სხვა სახის მითითებებიც, რომელთა ნაწილი შემდგომ კვლევას მოითხოვს, ნაწილი კი გაიშიფრა ხელნაწერზე მუშაობის პროცესში. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს ხელნაწერში საგალობელთა ერთი ჯგუფის დასაწყისებთან მითითებული ჯვარი – †, კერძოდ, იგი მითითებულია 3r, 8v, 42r, 57r, 94v, 103r, 177r, 184v, 191r, 198r, 207r, 208v გვერდებზე.

როგორც ირკვევა, ჯვარი პარიზულ ხელნაწერში მითითებულია „იბაკონის“ ტიპის საგალობლების გასწვრივ. არის შემთხვევები, როდესაც „იბაკონთან“ ჯვარი გამოჩენილია (27v, 195r), მხოლოდ ერთგან მინერილია პატარა წრე ° (202r).<sup>2</sup> „იბაკონი“ – ესაა საგალობლის ერთ-ერთი უძველესი

1 სხვა ქართულ „მარხვანებში“ „დიდნი გალობანი“ რომელიმე ერთი თარგმანითაა წარმოდგენილი.

2 ეს დაკვირვება პროექტის ერთ-ერთ მონაწილეს – ე. კვიციანიას ეკუთვნის.

სახეობა, რომლის დამკვიდრება ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში უკავშირდება რომანოზ მელოდოსის სახელს. ამ ტიპის საგალობლები ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში ძირითადად ცნობილია „კონტაკიონის“ სახელწოდებით (ყაუხჩიშვილი 1973: 141).

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ქართულ ხელნაწერებში ტერმინი „კონტაკიონი“, როგორც წესი, „იბაკონითა“ გადმოცემული. ასეა Paris. Georg. 5 ხელნაწერშიც, რომელშიც დაცულია ამ ტიპის რამდენიმე ათეული საგალობელი. ყველა მათგანთან მითითებულია საგალობლის სახეობა – „იბაკონი“.

გიორგი მთანმინდელის „მარხვანში“ დაცული ბერძენი ავტორების შემოქმედება საგანგებო კვლევას მოითხოვს, რაც თანაბრად მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ისე ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შესწავლისათვის. ამგვარი კვლევის მკვიდრ საფუძველს წარმოადგენს გიორგი ათონელის „მარხვანის“ სისრულე და მასში წარმოდგენილ ავტორთა მემკვიდრეობის დიდი სიზუსტით დადგენა გიორგი მთანმინდელის მიერ. ეს მასშტაბური სამუშაო კვლევის შემდეგ ეტაპზე გვაქვს გათვალისწინებული. ამჟამად წარმოვადგენთ ერთ-ერთ ნიმუშს „ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მამად“ წოდებული ავტორის – რომანოზ მელოდოსის შემოქმედებიდან.

საგალობელი ეძღვნება ადამის ექსორიობას და გიორგი ათონელის „მარხვანში“ განწესებულია ყველიერის კვირიაკეზე – უშუალოდ დიდმარხვის დაწყების წინ, რაც მორწმუნეს შეახსენებს ცოდვით დაცემის ტრაგედიის შედეგებს. **საგალობლის დასაწყისთან მითითებულია ავტორი – რომ[ანოზ].** თარგმანი გიორგი მთანმინდელს ეკუთვნის. საგალობლის ტექსტი გამოქვეყნებულია ჩვენ მიერ (ხაჩიძე 2018: 140-142).

რომანოზ მელოდოსის ეს საგალობელი არ არის შესული მისი შემოქმედების მეცნიერულ გამოცემაში, რომელიც გროსდიდის დე მატონს ეკუთვნის. ამ გამოცემაში თავმოყრილია რომანოზის სახელით დღეისათვის ცნობილი საგალობლების ავთენტური ტექსტები (Grosdidier de Matons 1964). **აღნიშნული საგალობელი ამ პუბლიკაციაში შეტანილი არ არის იმის გამო, რომ რომანოზი დღეისათვის არ ითვლება მის ავტორად.**

ეს საგალობელი არ არის შესული არც პ. მაასისა და ს. ტრიპანისის ნაშრომში (Maas and Trypanis 1963).

აღნიშნული „კონტაკიონის“ ტექსტი გამოქვეყნებულია პ. მაასის მიერ სათაურით „დაკარგული სამოთხე“ (Maas 1910: 18-20). ამ გამოცემაში „კონტაკიონი“ ანონიმურია.

პ. მაასის მიერ აღნიშნული „კონტაკიონი“ მიჩნეულია რომანოზისა და მისი სკოლის ერთ-ერთ „უძველეს წინაპრად“. ითვლება, რომ ესაა ბერძნულ ენაზე შექმნილი ერთ-ერთი უძველესი საგალობელი, რომლის ავტორი რომანოზზე ადრე მოღვაწეობდა (Maas 1910: 12; ყაუხჩიშვილი 1973: 148). მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა საგალობლის

1 ტროპარის – „პროომიონის“ მის მიერ შესრულებული თარგმანი ახალ ქართულ ენაზე (ყაუხჩიშვილი 1973: 149).

**გიორგი მთაწმინდელის ავტოგრაფული მნიშვნელობის „მარხვანის“ მოწმობით ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთ უძველეს ნიმუშად მიჩნეული ამ ანონიმური საგალობლის ავტორი რომანოზ მელიოდოსია.** პარიზულ ხელნაწერში დაცულია მისი გიორგი ათონელის მიერ შესრულებული თარგმანი. ამავე ხელნაწერის მეორე ნაწილში კი (225r) შესული აღმოჩნდა ამ საგალობლის შემდგომდროინდელი თარგმანიც, რომელიც, შესაძლოა, ეფრემ მცირეს ეკუთვნოდეს.

ვფიქრობთ, ეს მაგალითი ნათლად მოწმობს გიორგი ათონელის რედაქციის „მარხვანის“ მნიშვნელობას თვით ისეთი ცნობილი ავტორის შემოქმედების შესწავლისათვის, როგორცაა რომანოზ მელიოდოსი.

„იბაკონის“ ტიპის საგალობლები ქართულ ჰიმნოგრაფიაში VII საუკუნიდან ჩნდება. პირველი „იბაკონები“ დაცულია ჯერ კიდევ „იერუსალიმურ ლექციონარში“ არქაულ ლიტურგიკულ განგებაზე – ვნების შვიდეულში. ამავე ტიპის საგალობლები სახელნაწერულადაა შესული შემდგომდროინდელ ტრადიციაში – „ახალი ტიპის“ იადგარებსა და Sin. 5 / Sin. 75 ხელნაწერებში.

Paris. Georg. 5 ხელნაწერში რომანოზის სახელით წარწერილია 9 „იბაკონი“. მათი ტექსტების შედარებამ წინადროინდელ ქართულ თარგმანებთან ცხადყო საინტერესო გარემოება. როგორც ცნობილია, რომანოზ მელიოდოსის საგალობლები არქაული ფორმისაა. ჰიმნოგრაფიაში იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის მიერ ჩატარებული რეფორმის შემდეგ (VIII ს.) დაიწყო საგალობლების შექმნა ძლისპირ – დასდებლის შესატყვისობაზე დამყარებული რთული რიტმულ-მელოდიური საზომების მიხედვით. ამ საზომით განწყობილი საგალობლები ქართულ ჰიმნოგრაფიაში პირველად ე. წ. „ახალ იადგარებში“ გვხვდება (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1978: 10). რაც შეეხება ძველ ავტორებს, კერძოდ, რომანოზ მელიოდოსს, მისი საგალობლების თარგმანები გიორგი მთაწმინდელის წინადროინდელ ტრადიციაში – კერძოდ, Sin.5 (1052 წ.) და Sin.75 (XI ს.) ხელნაწერებში შესულია ამ საზომის გარეშე, ავტორნაწერულად, სხვა თარგმანით.

გიორგი ათონელის „მარხვანში“ შესული მრავალრიცხოვანი საგალობლების შედარებამ წინადროინდელ ხელნაწერებთან ცხადყო მისი მოღვაწეობის კიდევ ერთი თავისებურება – საგალობელთა ურთულესი რიტმულ-მელოდიური საზომების გამართვა და დაზუსტება. ამის ნათელი მაგალითია მისი რედაქციის „მარხვანში“, კერძოდ, პარიზულ ხელნაწერში შესული იოანე მინჩხის საგალობლების რიტმული განკვეთის ნიშნების ზუსტად დადგენა მის მიერ (ხაჩიძე 1987: 79]. ამას მოწმობს გიორგი ათონელის მრავალრიცხოვანი ანდერძები, სადაც იგი მსჯელობს ბერძნული გალობის („ბერძნული გვარის“) ქართულად გადმოღების ურთულეს პროცესზე (მეტრეველი 1966). მსგავსი სამუშაო ჩაუტარებია მას რომანოზ მელიოდოსის

საგალობლებზეც – ყოველი მათგანის ტექსტი პარიზულ ხელნაწერში „ახალი წესით“ – ძლისპირ – დასდებლის შესატყვისობითაა წარმოდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი პოეტური საზომიც და მელოდიაც „ახალ წესსა“ დაქვემდებარებული, რომელიც მაშინ საყოველთაოდ იყო გავრცელებული.

ამრიგად, ირკვევა, რომ გიორგი მთანმინდელმა, პირველად ქართულ ჰიმნოგრაფიაში, რომანოზ მელოდოსის „იბაკონები“ წარმოადგინა განსხვავებული რიტმითა და მელოდიებით. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რომანოზის ამ საგალობლების ქართულ თარგმანებში გიორგი ათონელი იყენებს სულ რამდენიმე ძლისპირს. რამდენიმე საგალობელი ერთ ძლისპირზეა დადებული, რადგან ეს იყო რომანოზის „ახლებურად გარდაქმნის“ დასაწყისი ქართულ ჰიმნოგრაფიაში, რაც ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში მიმდინარე პროცესს უნდა ასახავდეს.

გიორგი მთანმინდელის „მარხვანში“ დაცული მრავალრიცხოვანი საგალობლების ქართული თარგმანები, რომელთა ძირითადი ნაწილი თავად გიორგის უნდა ეკუთვნოდეს, ქართული მთარგმნელობითი ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს. ცხადია, გიორგი ათონელისთვის ამოსავალი იყო მათი ბრწყინვალე ორიგინალები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი ადეკვატურად გადმოცემა მშობლიურ ენაზე. მოვიტანთ ერთ-ერთ მაგალითს:

**პირველსა კვრიაკესა. ადამის ექსორობაჲ** (Paris. Georg.5, 41v)

სხუანი.

ძლ. სასონარკუეთილ

ვინ არაჲ მტიროდის  
შეცთომილსა ამას,  
გარდამავალსა  
ღმრთისა მცნებათა?!  
გამოვვარდი მე სამოთხით,  
შთავჴედი ჯოჯოხეთად,  
მნარე  
მეგემოვნა რაჲ ტკბილად,  
უმნარეს მექმნა ნაველისა.  
მჴსნელო,  
ნუ განმაგდებ სრულიად  
შეცოდებულსა ამას, არამედ  
სიტკბოებით მომხედენ  
და მო|მაქციე შიშსა შენსა (42r)  
და მიჴსენ მნარისა დაშჯისაგან,  
მჴსნელო, ყოლადძლიერო.

მთანო, დამეცენით,  
 ბორცუნო, დამფარეთ,  
 აცურიეთ ჩემ ზედა  
 ცუარი, ღრუბელნო,  
 უცხო ვიქმენ მე ღმრთისაგან  
 გარდა-რაა-ვჰკედ მცნებათა  
 მისთა,  
 ყოვლითურთ სანადელთა,  
 ყოველნი იგლოვდით ჩემთჳს:  
 ხენო,  
 და ყოველნო ცხოველნო,  
 გოდებდით ჩემ ზედა მწარედ  
 და თქუენ, წმიდანო  
 ანგელოზნო უფლისანო,  
 ღმერთსა ევედრენით, რაითა ვიკსნე  
 ვედრებითა თქუენითა.

საგალობელი ეძღვნება ადამის ექსორიობას და სხვა რამდენიმე საგალობელთან ერთად, განწესებულია დიდმარხვის პირველ კვირიაკეზე. საგალობლის პოეტურ საზომს, მელოდიას და განწყობილებას თავიდანვე მიუთითება ძლისპირი – „სასონარკუეთილ...“

საგალობელი წარმოადგენს ადამის გოდებას სამოთხიდან გაძევების გამო. „გოდების“ ჟანრის არაერთი ბრწყინვალე ნიმუშია ცნობილი ქრისტიანულ პოეზიაში, მათ შორის ადამის რამდენიმე სხვა „გოდებაც“ (კეკელიძე 1956: 198-230; ხაჩიძე 2000: 140-158). წარმოდგენილი საგალობელი ამ ჟანრის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ. დღეისათვის უცნობია მისი ბერძენი ავტორის ვინაობა. საგალობელში ადამის განდევნა სამოთხიდან, მისი ექსორიობა, ზოგადად, შეცოდებული ადამიანის ტრაგედიად წარმოგვიდგება.

საგალობლის პირველი ტროპარი აგებულია დაპირისპირების ხერხზე, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს შთაბეჭდილებას:

გამოვვარდი მე სამოთხით,  
 შთავჰედი ჯოჯოხეთად,  
 მწარე  
 მეგემოვნა რაა ტკბილად,  
 უმწარეს მექმნა ნავლისა.

საგალობლის ამავე მონაკვეთში შეიმჩნევა სიტყვათწარმოების საინტერესო შემთხვევა: „მწარე მეგემოვნა ტკბილად“. „გემოვანი“ ზედსართავი სახელია და გემრიელს ნიშნავს. აქედანაა ნაწარმოები „მეგემოვნა“ (ე. ი.

გემრიელი მომეჩვენა). „მეგემოვნა“ გიორგის მიერ შემოტანილი ლექსემა უნდა იყოს. გიორგი მთაწმინდელი სხვაგანაც მიმართავს სიტყვათქმნადობას დერივაციული აფიქსების გამოყენებით. წარმოქმნილ ახალ სიტყვებს მის თარგმანში ესთეტიკური დანიშნულება ენიჭება.<sup>1</sup>

სამოთხიდან გაძევებული ადამი ღვთისგან ითხოვს, არ განიდევნოს „სრულიად“ და უფლის წყალობით ღვთის შიშს ეზიაროს, რადგან „დასაბამი სიბრძნისაჲ – შიში უფლისაჲ“ (ფს. 110, 10).

განსაკუთრებით შთამბეჭდავია საგალობლის მეორე ტროპარი, რომელიც ქართველი მკითხველისათვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებასთან ასოცირდება. ადამიანის ღვთისგან განშორების ტრაგედია აქ საყოველთაო მასშტაბს იძენს.

გიორგი ათონელის თარგმანის მეშვეობით ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ეს ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში ორიგინალური ნაწარმოების შთაბეჭდილებას ტოვებს.

დღეისათვის ცნობილ ბერძნულ „მარხვანებში“ არ გვხვდება ამ საგალობლის ბერძნული ორიგინალი ისევე, როგორც გიორგი ათონელის „მარხვანში“ დაცული მრავალი სხვა საგალობლის შემთხვევაში (ბერძნული მარხვანი 1879; ბერძნული მარხვანი 1975).

ამრიგად, ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ამ ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშის რეკონსტრუქცია დღეისათვის გიორგი ათონელის თარგმანით ხდება შესაძლებელი.

მიუხედავად გიორგის მოღვაწეობამდე შექმნილი დიდებული თარგმანებისა, რომლებსაც თავად ის უმაღლეს შეფასებას აძლევდა, მისი თარგმანები ანაცვლებდა ყველა მათგანს საქართველოს სამოციქულო ეკლესიაში.

გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრებიდან“ ცნობილია, რომ „გარდაიწერნეს წიგნი მისნი მრავალთა საებისკოპოსოთა და მონასტერთა და მრავალვალნი საეკლესიონი წესნი განჰმართნა“ (ძეგლები 1967: 173).

იგივე უნდა ითქვას გიორგი ათონელის „მარხვანის“ შესახებ, რომლის შემცველი ხელნაწერების რიცხვი დიდია და მიეკუთვნება ქართულ ხელნაწერთა თითქმის ყველა კოლექციას.

გიორგი ათონელის „მარხვანის“ ტექსტის საბოლოოდ დადგენისათვის აუცილებელია მისი შემცველი სხვა ქართული ხელნაწერების შესწავლა, რადგან, ზოგჯერ, ტექნიკური მიზეზების გამო, პარიზულ ხელნაწერში ტექსტის ესა თუ ის მონაკვეთი ცუდად ჩანს ან არ იკითხება. ამას ემატება ისიც, რომ Paris. Georg. 5-ს აკლია დასაწყისი ნაწილი – დიდმარხვის მოსამზადებელი კვირიაკეების ჰიმნოგრაფიული მასალა. ხელნაწერის 1r-ზე ამ მასალის მხოლოდ ბოლო გვერდია შემორჩენილი.

გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანის“ შემცველი ძეგლი – XI-XV საუკუნეებით დათარიღებული ხელნაწერებიდან, Paris. Georg.5-ის გარდა,

1 ეს დაკვირვება პროექტის ერთ-ერთ მონაწილეს – ე. კოჭლამაზაშვილს ეკუთვნის.

ტექსტის საბოლოოდ დასადგენად შევარჩიეთ 8 ხელნაწერი, რომელთა ყველა ჩვენება აისახება ტექსტის პუბლიკაციაში. ესენია: Ath.59 (XI ს.), Ath. 38 (XI ს.), A 568 (XII ს.), Jer.61 (XIII-XV სს.), Jer.130 (XI-XIII სს.), Jer.67 (XII ს.), Jer.56 (XII-XIII სს.) და Jer.141 (XIII-XV სს.).

ცხადია, ყველა მათგანის საგანგებოდ კვლევა გახდა საჭირო. გაირკვა, რომ Jer.131 (XI-XII სს.) და Jer.105 (XII-XIII სს.) ხელნაწერები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში გიორგი ათონელის „მარხვანებად“ იყო მიჩნეული (Blake 1931: 136; Blake 1931: 120), სინამდვილეში სხვა ტიპის კრებულებს წარმოადგენს და მათი კვალიფიკაცია უნდა შეიცვალოს.

გიორგი მთაწმინდელის „მარხვანის“ შემცველი ხელნაწერების შესწავლამ მრავალი სიახლე მოიტანა. მაგალითისათვის განვიხილავთ ორ მათგანს – Ath.38-სა და Ath.59-ს. ორივე მათგანი ათონის მთაზეა დაცული და თარიღდება XI საუკუნით.

როგორც აღვნიშნეთ, Paris. Georg.5 თავნაკულია – არ შეიცავს დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდის – მეზვერისა და ფარისეველის, აგრეთვე უძღვების შვილის კვირიაკისათვის განკუთვნილ რეპერტუარს. ამ მასალის რეკონსტრუქციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს XI საუკუნის ვრცელი კრებული – Ath.38, რომელიც შეიცავს 720 გვერდს. ეს ათონური ხელნაწერი სწორედ დიდმარხვის მოსამზადებელი კვირიაკეების საგალობლებით იწყება: *„სახელითა მამისაათა და ძისაათა და სულისა წმიდისაათა! იწყებენ წმიდანი მარხვანი მეზუერისა და ფარისეველისა კურიაკითგან და სრულ იქმნებიან ბრწყინვალესა აღვსებასა“*.

მეზვერისა და ფარისეველის კვირიაკე ამ ხელნაწერში წარმოდგენილია ვრცელი ჰიმნოგრაფიული მასალით – ესაა 11 მცირე ფორმის საგალობელი და 3 ჰიმნოგრაფიული კანონი.

ასევე ვრცელია მომდევნო – უძღვები შვილის კვირიაკისათვის განკუთვნილი რეპერტუარი. ესაა 15 მცირე ფორმის საგალობელი და ორი ჰიმნოგრაფიული კანონი.

ამრიგად, Ath.38 (გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანის“ შემცველ რამდენიმე სხვა ხელნაწერსა და ფრაგმენტთან ერთად) საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ Paris. Georg. 5-ის დასაწყისი ანუ გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანი“ წარმოვადგინოთ სრული სახით.

გიორგი ათონელის „მარხვანის“ პუბლიკაციაში დიდმარხვის მოსამზადებელი პერიოდის საგალობლების პუბლიკაციის საფუძვლად მივიჩნიეთ სწორედ Ath.38 ხელნაწერი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ მოსამზადებელი კვირიაკეები კონსტანტინოპოლურ ნიადაგზე აღმოცენდა და იერუსალიმური პრაქტიკა მათ არ იცნობს (კარაბინოვი 1910: 22-23). მართლაც, ქართულ ხელნაწერებში შესაბამისი ჰიმნოგრაფიული რეპერტუარი ჩნდება ათონელ მოღვაწეებთან დაკავშირებულ ხელნაწერებში – Sin.5 და Sin.75. გიორგი ათონელის „მარხვანში“ კი იგი გაცილებით ვრცელადაა წარმოდგენილი.

Ath.38 ყურადღებას იმსახურების იმ თვალსაზრისითაც, რომ დიდი შაბათის საგალობლების შემდეგ, რომლითაც, ფაქტობრივად, მთავრდება დიდმარხვის ლიტურგია, მასში, პარიზული ხელნაწერის მსგავსად, შესულია იოანე დამასკელის „აღდგომის კანონის“ ორი ქართული თარგმანი – წინადროინდელი და თავად გიორგი მთანმინდელის მიერ შესრულებული.

„აღდგომის კანონის“ გიორგი მთანმინდელისეულ თარგმანს Ath.38-ში მოსდევს ე.წ. „აკათისტოს განგება“, რომელიც შეიცავს ამ განგების თითოეული კომპონენტის დასაწყისებს და „აკათისტოს“ სრული ტექსტს: „იბაკონი წმიდისა ღმრთისმშობლისანი, რომელნი ითქუმიან მწუხრსა მას, რომელსა და ა უ ჯ დ ო მ ე ლ ე ნ ო დების, თქუმულნი წმიდისა ჰ რ ო მ ა ნ ო ზ ი ს ნ ი – კდ. პირველ იბაკო. ჳმა დ გუერდი. ა. – ზეშთა მბრძოლისა ჩემისათჳს და მოღუანისა უძღვეელისა...“ (354r-358v). ამრიგად, XI საუკუნის ამ ქართული ხელნაწერის მოწმობით ქრისტიანული ეკლესიის ამ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საგალობლის ავტორი რომანოზ მელოდოსია.

„აკათისტოს“ შესახებ არსებულ მრავალრიცხოვან სამეცნიერო ლიტერატურაში სადავოა ამ საგალობლის ავტორობის საკითხი (16, 18-22). მათ შორის, ვფიქრობთ, ყველაზე გამართლებულია საგალობლის ავტორად ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის მამათავრის – რომანოზ მელოდოსის მიჩნევა (ყაუხჩიშვილი 1973: 161; Wellesz 1980: 194). რომანოზის ავტორობის სასარგებლოდ მეტყველებს ის გარემოებაც, რომ ქართულ ხელნაწერებში მის ავტორად რომანოზია დასახელებული. მით უფრო სარწმუნოა ბიზანტიური და ქართული სასულიერო მწერლობის ზედმინეგნით მცოდნე სწავლულის – გიორგი ათონელის მოწმობა, კერძოდ, მისი რედაქციის „მარხვანის“ შემცველი ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი – Ath.38, სადაც საგალობლის ავტორად რომანოზია დასახელებული. ანალოგიური მდგომარეობაა A 543 (XVII ს.) ხელნაწერშიც (ყაუხჩიშვილი 1973: 161).

Ath.38 სხვა მხრივაც აღმოჩნდა საინტერესო. იგი იწყება ანდერძით, რომელიც ახალ ცნობებს შეიცავს ათონის ქართული მონასტრების ისტორიისათვის: **„...ნ პავლე დ[ავ]სხენ წიგნნი ესე პარაკლიტ[ონი] სადღესასწაულოთაჲ და ესე მარხვანი ანიანს გიორგი ციხისჯუარელისა მოგებულნი სალოცველად სულისა მისისათჳს. ვინცა მანდა მყოფი იყოს, ხუცესსა ჟამსა აწირვებდეს მისთჳს ნ[ოენ]ბ[ერ]სა ზ, და ვინ შეუცვალოს ლოცვაჲ ანუ ესე წიგნნი გამოაკუნეს მას ეკლესიასა, იყავნ წყეულ და შერუწნებულ“.** 2. **„ესე რომე ზემო სწერია, მისი პას[უხი] ესე იყავნ: ყურსალთა ნ[არი]ლეს და მე ა...სი ყურსალთაგან ვიყიდე ... ამბ... ქ...ზ ჩელმან ყ[ოლა]დწ[მი]დასა ღმრთისმშობ[ელ]სა[...]. [ბ]ორტ...სასა [შე]ვსწირე. ვინმცა ... მცა უხილავს წყალობაჲ მის დ.....ა. და ვინცა შენდობაჲ [ყ]ოს, მასცა შეუნდვენ ღმერთმან“.**

ჩვენამდე ფრაგმენტულად მოღწეულ ამ ანდერძში დასახელებულია სამი ჰიმნოგრაფიული კრებული – „პარაკლიტონი“, „სადღესასწაულო“ და „მარხვანი“. ანდერძის მიხედვით, სამივე მათგანის „მომგებელია“ გიორგი ციხისჯუარელი. აქ მოხსენიებული „მარხვანი“ სწორედ Ath.38 უნდა იყოს.



საინტერესოა, რომ იგივე მოღვაწე – გიორგი ციხისჯვარელი მოხსენიებულია ათონის „საალაპე ნიგნშიც“ (მეტრეველი 1998: 171). ათონური ალაპი და Ath.38-ის ანდერძი გვამცნობს გიორგი ციხისჯვარელის პიროვნებას და მის მიერ განუღებულ ღვაწლს. ანიანის ქართული მონასტრისათვის მას მოუპოვებია მინაც და ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულებიც, მათ შორის Ath. 38.

Ath.38 ხელნაწერი ყურადღებას იმსახურებს ძველი ქართული წყაროებისათვის აქამდე უცნობი ტერმინის – „ყურსალის“ მოხსენიებითაც. სწორედ ამ ეროვნების წარმომადგენლებს („ყურსალთა“) ნაუღიათ ათონის მთაზე მდებარე ანიანის ქართული მონასტრიდან სამი კრებული. ანდერძის ავტორს ეს ნიგნები კვლავ „ყურსალთაგან“ შეუძენია და შეუწირავს „ივირონისთვის“. თავად Ath.38 ხელნაწერიც ამ „ყურსალთაგან“ ყოფილა წაღებული და შემდგომ გამოსყიდული.

არანაკლებ საინტერესოა მეორე ათონური ხელნაწერი – Ath.59, რომელიც XI საუკუნით თარიღდება მისი ძირითადი ნაწილი გადაწერილია ათონური ხელნაწერით (Blake 1931: 249). ხელნაწერი, დღემდე მოღწეული სახით, იწყება ყველიერის შვიდეულის მასალით და მთავრდება დიდი პარასკევის მწუხრით.

Ath.59-ის შესწავლამ ცხადყო, რომ ესაა გიორგი მთაწმინდელის რედაქციის „მარხვანი“, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვენ მიერ შესწავლილი სხვა ხელნაწერებისგან.

Ath.59-ში დაცული თითოეული დღის ჰიმნოგრაფიული მასალა გაცილებით მოკლეა გიორგი ათონელის რედაქციის სხვა „მარხვანებთან“ შედარებით. სადა დღეების განგება შეიცავს საგალობლების მინიმალურ რაოდენობას: ცისკრის განგებაზე – ერთ სამსაგალობელსა და „აქებდითსას“, მწუხრის განგებაზე – 2 მცირე ფორმის საგალობელს. შაბათ დღეებზე სამსაგალობელს ცვლის ოთხსაგალობელი, კვირა დღეებზე კი – ჰიმნოგრაფიული კანონი. ამრიგად, დიდმარხვის ლიტურგია გაცილებით მოკლეა გიორგი ათონელის სხვა „მარხვანებთან“ შედარებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ გიორგი ათონელის მიერ შედგენილი ლიტურგიკულ-ჰიმნოგრაფიული კრებულებისათვის დამახასიათებელია მცირე ფორმის საგალობლის – „წარდგომანის“ სისტემატური შემოღება (ჯღამაია 1966; ხაჩიძე 1987:135). Ath.59-ისთვის კი „წარდგომანი“ დამახასიათებელი არ არის. ამ ტიპის საგალობელი ხელნაწერში სულ რამდენჯერმე გვხვდება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ „მარხვანის“ ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი – ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი“ ხელნაწერში შესულია ეფთვიმე მთაწმინდელის თარგმანით. ეს გარემოება მხოლოდ იმით შეიძლება აიხსნას, რომ Ath.59-ის ტიპის „მარხვანის“ შედგენისას გიორგი მთაწმინდელს, როგორც ჩანს, ანდრია კრიტელის „დიდნი გალობანი“ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნათარგმნი.

Ath.59-ის ტიპის „მარხვანის“ პირვანდებლობას მხარს უჭერს საგალობლებთან ე. ნ. „მცირე დოქსოლოგიის ელემენტების“ – „დიდებაჲს“ და „ანდაჲს“ სისტემატური მითითებები. მსგავსი ვითარებაა „დიდ სუნაქსარში“, რომელიც გიორგიმ თავისი მთარგმნელობითი მოღვაწეობის დასაწყისში თარგმნა ათონზე (დიდი სუნაქსარი 2017).

Ath.59-ს გიორგი ათონელის „მარხვანის“ სხვა ხელნაწერებისგან გამოარჩევს რამდენიმე სიტყვისგან შემდგარი ფრაზები, რომლებიც სისტემატურად გვხვდება ხელნაწერში დაცულ საგალობლებთან. ასე მაგ., „აღვლესო ვითარცა“, „იხარებდით წარმა“, „რამეთუ სისხლი ძეთა“ და ა.შ.

კვლევამ ნათელყო, რომ ეს ფრაზები წარმოადგენს ფსალმუნებზე დართული „ბიბლიური გალობების“ მუხლებსა და ნახევარმუხლებს. შედარებამ ცხადყო, რომ ყველა შემთხვევაში მათი ტექსტები მოტანილია გიორგი ათონელის წინააღმდეგე თარგმანიდან (ფსალმუნნი 1960). როგორც ჩანს, „მარხვანის“ ამ პირველი – მოკლე რედაქციის შედგენისას გიორგი მთანმინდელს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ნათარგმნი „ბიბლიური გალობები“ და სავარაუდოდ, არც „ფსალმუნნი“, რომელსაც, წესისამებრ, ერთვის „ბიბლიური გალობები“.

ამრიგად, ირკვევა, რომ „მარხვანი“ გიორგი მთანმინდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი ერთ-ერთი პირველი ლიტურგიკული კრებულია, რომელზეც მას ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმუშავია. „მარხვანის“ სრულ რედაქციას, რომელიც დაცულია რიგ ხელნაწერებში და გამოირჩევა თავისი სისრულით, როგორც ირკვევა, წინ უძღოდა გიორგისავე რედაქციის მოკლე, Ath.59-ის ტიპის „მარხვანი“.

გიორგი ათონელის რედაქციის „მარხვანებს“ შორის მრავლადაა იერუსალიმური კოლექციის ხელნაწერები, რომელთაგან გამოცემისათვის შევარჩიეთ 5 მათგანი – Jer.130, Jer.61, Jer.67, Jer.56 და Jer.141. შერჩევა მოხდა მათი ქრონოლოგიისა და მეცნიერული მნიშვნელობიდან გამომდინარე. მათ შორის სისრულით გამოირჩევა Jer.61 და Jer.67 ხელნაწერები, რომლებიც გიორგი ათონელის მოღვაწეობის ახალი ასპექტების წარმოჩენასთან ერთად, მნიშვნელოვანია „მარხვანის“ ტექსტის დასადგენადაც. მათგან განსხვავებით, ჩვენამდე არასრულადაა მოღწეული Jer.130, რომელიც სხვა თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას: მასში დაცული ჰიმნოგრაფიული მასალა იმდენად ზუსტად თანხვდება პარიზულ ხელნაწერს, რომ მისგან ან მისი უშუალო პირიდან უნდა იყოს გადაწერილი.

ზოგიერთი ავტორისა და კომენტარის თვალსაზრისით, აგრეთვე ტექსტის დასადგენად საყურადღებოა აგრეთვე Jer.67 და Jer.141 ხელნაწერები.

იერუსალიმური „მარხვანების“ სიმრავლე უნდა აიხსნას შემდეგი გარემოებით. გიორგი ათონელის „ცხოვრების“ მიხედვით: „ნეტარი მამაჲ პროხორე მამინ ოდენ ჯუარის მონასტერსა აშენებდა... მონაფეთა მისთა ნებაჲ მისი აღასრულეს და სათუეონი და მარხუანი წმიდასა მას მონასტერსა დასხნეს“ (ძეგლები 1967: 145).

გიორგი მთანმინდელის რედაქციის „მარხვანის“ აკადემიურ გამოცემაში აისახება დასახელებული ხელნაწერების ყველა ჩვენება, მათ შორის გადამწერთა ანდერძებიც, რომელთაგან დავიმონმებთ ერთ-ერთს: „სრულ იქმნეს სრულებით წმიდანი ესე მარხვანი ჳელითა ნიკოლოზ კა[ტ] არანისძისაჲთა. ღმრთისათჳს ლოცვა ყავთ, რამეთუ მშრომელნი მტუჴრ და ნაცარ ვიქმნებით, ხოლო ნაშრომი ჳგიეს უკუნისამდე!“ (Ier. 67, 265).

#### დამონმებანი:

- Berdzuli Markhvani. Τριῶδιον.* Rome: 1879 (ბერძნული მარხვანი. *Τριῶδιον.* Rome: 1879)
- Berdzuli Markhvani. Τριῶδιον, Αθήνα:* 1975 (ბერძნული მარხვანი. *Τριῶδιον, Αθήνα:* 1975).
- Blake, Robert: *Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au Mont Athos*, Paris, 1931.
- Bruni, Aleksandro Maria. *Ts'minda Giorgi Mtats'mindelis Avt'ograpebis Ident'ipitsirebisatvis*. Tbilisi: gamomtsemloba “logosi”, 6, 2011. (ბრუნი ალექსანდრო მარია. წმინდა გიორგი მთანმინდელის ავტოგრაფების იდენტიფიციებისათვის. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“, 6, 2011).
- Cappuyns, Norbert.: *Le Triodion. Etude Histirique sur sa Constitution et sa Formation.*Thèse. PIOS, 1935.
- Didi Svinaksari. T'ekst'i Gamosatsemad Moamzades da Sametsniero Ap'arat'i Daurtes Manana Dolakidzem da Dali Chit'unashvilma.* Tbilisi: khelnats'erta erovnuli tsent'ris gamomtsemloba, 2017 (დიდი სვინასარი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გამომცემლობა, 2017).
- Dzveli Kartuli Agiograpiuli Lit'erat'uris Dzeglebi, II. Ilia Abuladzis Redaktsiit.* Tbilisi: gamomtsemloba “metsniereba” (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, ილია აბულაძის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1967).
- Grosdidier de Matons 1964: Grosdidier de Matons, José. *Hymnes, Saint Ronamus (Melodus)*. Paris: Les éditions du CERF, 1964.
- Grosdidier de Matons 1977: Grosdidier de Matons, José. *Romanos le Melode et les origines de la poesie religieuse a Byzance.* Paris: éditions Beauchesne, 1977.
- Jghamaia, Lali. *XI Sauk'unis Kartuli Himnograpiis Ist'oriidan.* Sadisert'atsio Nashromi. Tbilisi: 1966 (ჯღამაია ლალი. XI საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი: 1966).
- Karabinov, Ivan. “*Postmaya Triod'*”. Sankt-Peterburg: 1910 (Карабинов, Иван. Постная Триодь. СПб.: 1910).
- Q'aukhchishvili, Simon. *Bizant'iuri Lit'erat'uris Ist'oria.* Tbilisi: gamomtsemloba “ganatleba”, 1973 (ყაუხჩიშვილი, სიმონ. ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1973).
- Kartul Khelnatserta Aghts'eriloba, Sinuri K'olektsia.* Sheadgines da Dasabech'dad Moamzades T. Chank'ievma, L. Jhevsurianma da L. Jghamaiam. Tbilisi: gamomtsemloba “metsniereba”, 1978 (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა 1978: ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, სინური კოლექცია. I. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს: ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა, ლ. ხევსურიანმა, ლ. ჯღამაიამ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1978).

- Kartul Khelnats'erta Aghts'eriloba. Sinuri K'oleksia*, II. Sheadgines da Dasabech'dad Moamzades T. Chank'ievma da L. Jghamaiam. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1979 (*ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. სინური კოლექცია*, II. შეადგინეს და დასაბეჭდად მოამზადეს ც. ჭანკიევმა და ლ. ჯღამაიამ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1979).
- Kekelidze, Korneli. *Liturgicheskie Gruzinskie Pamyatniki*. Tiflis: 1908. (Кекелидзе, Корнели. Литургические грузинские памятники, Тифлис: 1908).
- Kekelidze, Korneli. *Ierusalimskiy Kanonar' VII Veka*. Tiflis: 1912 (Кекелидзе, Корнели. Иерусалимский Канонарь VII века. Тифлис: 1912).
- Khachidze, Lela. *Ioane Minchkhis P'oezia*. T'ekst'i Gamosatsemad Moamzada da Gamok'vela Daurto Lela Khachidzem. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1987 (ხაჩიძე, ლელა. *იოანე მინჩხის პოეზია*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987).
- Khachidze, Lela. *Kartuli Krist'ianuli K'ult'uris Ist'oriidan*. Tbilisi: S.S. Orbelianis Sakhelobis Tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba, 2000 (ხაჩიძე, ლელა. *ქართული ქრისტიანული კულტურის ისტორიიდან*. თბილისი: ს.ს. ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000).
- Khachidze, Lela. *Romanoz Melodosi da Bizant'iuri Himnografiis Ert-erti Udzelesi Nimushi*. Kartvelologi. №27, 133-148. Tbilisi: Tbilisis sakhelmts'ipo universitetis gamomtsemloba, 2018 (ხაჩიძე, ლელა. „რომანოზ მელოდოსი და ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში“. *ქართველოლოგი*, №27, 133-148. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2018).
- Khakhanashvili, Aleksandre. *Parizis Bibliotekis Kartuli Khelnats'erebi*. "Moambe", №1, 1898 (ხახანაშვილი, ალექსანდრე. *პარიზის ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები*, „მოამბე“, №1, 1898).
- Krumbacher, Karl. *Geschichte der Byzantinischen Litteratur*. München: 1891.
- Maas, Paul. *Frühbyzantinische Kirchenpoesie*, I. Bonn: 1910.
- Maas, Paul and Trypanis, Constantine Athanasius, *Sancti Romani Melodi Cantica*. Berlin: Walter de Gruyter & Co, 1970.
- Macler Frederic. *Catalogue des manuscrits arméniens et géorgiens de la Bibliothèque nationale*. Paris: 1908.
- Met'reveli, Elene. *Dzlip'irmi da Ghmrtismshoblisani*. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1971 (მეტრეველი, ელენე, ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1971).
- Met'reveli, Elene. *Mekhelisa da Mekhuris Gagebisatvis*. Shota Rustaveli. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1966 (მეტრეველი, ელენე. *მეხელისა და მეხურის გაგებისათვის*, შოთა რუსთაველი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1966).
- Met'reveli, Elene. *Atonis Kartvela Monast'ris Saaghape Ts'igni*. Tbilisi: gamomtsemloba "sk'ola", 1998 (მეტრეველი, ელენე, *ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი*. თბილისი: გამომცემლობა „სკოლა“, 1998).
- Momina, M., and Trunte, N. *Triodion und Pentekostarion. Nach slavischen Handschriften des 11.-14. Jahrhunderts*. Published by Paderborn: Schöningh, 2004.

- Psalmunis Dzveli Kartuli Redaktsiebi*. Gamostsa Mzekala Shanidzem. Tbilisi: metsnierebata ak'ademiis gamomtsemloba, 1960 (*ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები*, გამოსცა მზექალა შანიძემ. თბილისი: მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960).
- Slaveva, *Za Staroslovenskoy Triod*. "Slovo", Zagreb, 1972 (Славева, Л., За старословенской Триод. Slovo, 22, Zagreb, 1972).
- Slavuri Markhvani*. Triod' Postnaya, I – II, Moskva: 1975 (სლავური მარხვანი: Триодъ Постная, I – II, Москва: 1975).
- Taq'aishvili, Ekvtime. *Parizis Natsionaluri Bibliotek'is Kartuli Khelnats'erebi*. Paris: 1933 (თაყაიშვილი, ექვთიმე, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები. პარიზი: 1933).
- Tomadakes, Evtychios, *Ἰωσήφ ὁ Ὑμνογράφος. Βίος καὶ Ἔργον*. Ἀθῆναι: 1971.
- Udzelesi Iadgari*. Gamosatsemad Moamzades, Gamok'vleva da Sadzieblebi Daurtes El. Met'revelma, Ts. Chank'ievma da L. Khevsurianma. Tbilisi: gamomtsemloba "metsniereba", 1980 (*უძველესი იადგარი*. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს ელ. მეტრეველმა, ც. ჭანკიევმა და ლ. ხევსურიანმა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი: 1980).
- Wellesz, Egon. *A History of Byzantine Music and Hymnography*. Oxford University Press. Oxford: 1980.

**Lela Khachidze**  
(Georgia)

## **Byzantine and Georgian Hymnographical Legacy** **(“Lenten Triodion under George the Athonite’s Redaction”)<sup>1</sup>**

### **Summary**

**Key words:** Byzantine hymnography, George the Athonite, Georgian hymnography, “Lenten Triodion”.

The “Lenten Triodion” is one of the extremely important liturgical-hymnographical collections, which provides the hymns for the Lent period. This collection contains a treasury of Byzantine and Georgian hymnography – numerous hymns, the authors of which are the outstanding representatives of the Christian Church and culture. A great number of hymns have come down to us anonymously and the authorship attribution is impossible only by Greek sources.

The Georgian “Lenten Triodion”, like all other liturgical books, reached the peak of its development thanks to the activity of the greatest representative of the Georgian Church and culture – George the Athonite (1009-1065).

Numerous manuscripts containing the “Lenten Triodion” under George the Athonite’s redaction have come down to us. Based on their study, one group of manuscripts

---

<sup>1</sup> This research is based on the main outcomes obtained in the framework of the project funded by Shota Rustaveli Georgian National Science Foundation (FR17\_127) “Byzantine and Georgian Hymnographic Heritage” (“Lenten Triodion under George the Athonite’s Redaction”).

which is especially important for the study of this collection has been singled out. Our goal is to prepare for publication the academic text of the “Lenten Triodion” under George the Athonite’s redaction according to nine Georgian manuscripts of the XI-XV centuries, along with relevant studies.

Among the manuscripts contained in this collection, special importance is attached to the manuscript kept at the National Library of Paris – Paris. Georg. 5. As it turns out, **this is a unique manuscript of this collection having autograph importance, which we took as a basis for the publication of the “Lenten Triodion” under George the Athonite’s redaction.**

On the basis of codified, historical and liturgical study of Paris. Georg. 5, it was found out that this manuscript was compiled on the Black Mountain near Antioch.

Taking into consideration various sources, including George the Athonite’s “Life”, it was also established that a complete, final redaction of the “Lenten Triodion” was compiled by George the Athonite on the Black Mountain **in the years 1056 – 1059.**

The study of George the Athonite’s “Lenten Triodion” testifies to the fact that this is a collection that fully reflects Byzantine liturgical practice of the earlier epoch and the time contemporary to George the Athonite. The colophons of George the Athonite preserved in Paris. Georg. 5 also attest the same.

In the “Lenten” of George the Athonite’s version, each day of the Great Lent contains extensive hymnographical material – numerous small-sized hymns of different type, several cycles of hymns of specific form (three-odes) and hymns of complex poetical form – hymnographical canons whose authors are outstanding representatives of Byzantine hymnography.

A collection of similar completeness is not found in existing publications of “Greek Triodion” and in the manuscripts described in scholarly literature. Such collection is not identified in the Slavonic “Triodions”, which represent exact analogues of the Greek “Triodions” of the Constantinopolitan period.

The “Lenten Triodion” under George the Athonite’s redaction is characterized by great accuracy in authorship attribution of hymns and establishment of their texts, which is of great scientific importance today. In the course of the research, the monograms denoting their authorship were deciphered, as well as the monogram “†”, which is indicated at the hymns of archaic type – “ibakoi”.

Comparison of the well-known Greek-Slavonic “Triodions” known for today and the collections described in the scholarly literature has shown that George the Athonite’s “Lenten”, especially the manuscript Paris. Georg. 5 is a means for identification or reconstruction of numerous specimens of Byzantine hymnography. Among them is Romanos the Melodist, a great creator recognized as the founder of Byzantine hymnography itself. As it turns out, it was he who wrote one of the most ancient hymns of Byzantine hymnography, which was previously regarded as anonymous and recognized the “ancient ancestor” of Romanos the Melodist and his school.

Most of the hymns included in the “Lenten Triodion” were translated by George the Athonite himself. There are several cases when George, along with his own translation, also provides a previous translation – in cases when these translations are distinguished by special literary merits.

Georgian translations of George the Athonite preserved in the “Lenten Triodion” are the best examples of the art of Georgian translation. These texts, created with the aim of contextual and rhythmic-melodic approximation with the originals, leave the impression of the specimens of original writing. George the Athonite had a thorough mastery of the Georgian lexical stock of his time. At the same time, he creates new lexical units and terms.

The comparison of the hymns included in George the Athonite’s “Lenten Triodion” with the previous manuscripts revealed another feature of his activity – the arrangement and preciseness of the most complex rhythmical and melodic metres of the hymns.

The similar work was performed by him in Romanos Melodos’s hymns – the text of each of them is presented in the Paris manuscript according to the “new rule” – correspondence of the troparia to the heirmoi, which was common at that time. Apparently, he did a similar work on the entire repertoire for the “Lenten Triodion”.

For the final establishment of the text, among numerous manuscripts containing the “Lenten Triodion” together with Paris. Georg. 5 we have selected 8 manuscripts dating from XI-XIII centuries. They are: Ath. 59 (XI c.), Ath. 38 (XI c.), A 568 (XII c.), Jer. 61 (XIII-XV cc), Jer. 130 (XI-XIII cc), Jer. 67 (XII c.), Jer. 56 (XII-XIII cc) and Jer. 141 (XIII-XV cc). The study of these manuscripts has shown that the “Lenten Triodion” is one of the first collections that George the Athonite started to work at while laboring on Mount Athos. The full, final edition of the “Lenten Triodion” was preceded by the first, short redaction of this collection, which is preserved in the Athonian manuscript, Ath. 59.

A comparative study of the manuscripts containing George the Athonite’s “Lenten Triodion” has given us the opportunity of final establishment of the text. The study of the colophons and inscriptions attached to these manuscripts has revealed several hitherto unknown facts from the history of the activities of the zealous Georgians on Mount Athos.